



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #016/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ სურმანიძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

დაარღვევს თუ არა ადვოკატი/საადვოკატო ბიურო აპეკ-ის 8¹ მუხლით გათვალისწინებულ რეკლამირების წესს, თუ რეკლამის სახით იქნება წარწერილი ფრაზა: „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალეების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში“?

ანალიზი:

ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე (აპეკ-ის 8¹ მუხლი). აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ კოდექსი რეკლამირების დაცულობასთან მიმართებით წინაპირობებს აწესებს, ერთ-ერთის არასწორი ფორმულირება კი გამოიწვევს მთლიანი მუხლის დარღვევას.

განვიხილოთ თითოეული წინაპირობის შესაბამისობა რეკლამის ფაქტობრივ ჩანაწერთან.

1. ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი - ადვოკატი, პოტენციურ კლიენტებს ჰპირდება უიმედო ვალეების ამოღებაში დახმარებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სარეკლამო ტექსტი მხოლოდ მაშინ იქნება შეცდომაში შემყვანი, თუ ადვოკატი არ გაუწევს კლიენტებს სამართლებრივ დახმარებას უიმედო ვალეებთან დაკავშირებულ საქმეებზე და ეტყვის უარს. შესაბამისად, სავარაუდოდ, აღნიშნული პირობა რეკლამის ავტორს დაცული აქვს.
2. დაცულია პროფესიის ძირითადი ფასეულობები - აღნიშნული რეკლამით არ ირღვევა საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რადგან ადვოკატის მხრიდან არ ხდება გარანტირებული შედეგის დაპირება, მითითება ხდება მხოლოდ სამართლებრივ დახმარებაზე უიმედო ვალეების ამოღებასთან დაკავშირებით, რაც არ მოიცავს კლიენტისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგის დადგომის აუცილებლობას.
3. პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე - რეკლამა მოიცავს მითითებას უიმედო ვალეებთან დაკავშირებული პრობლემების არსებობასთან, რაც არანაირ კავშირს არ მოიცავს სხვა ადვოკატსა და მის საქმიანობაზე, შესაბამისა, ეს ნაწილიც რეკლამის ავტორის მხრიდან დაცულია.

დასკვნა:

ადვოკატის მხრიდან, მისი საქმიანობის შესახებ შემდეგი შინაარსის სარეკლამო ტექსტის გავრცელებით: „გაქვთ პრობლემა უიმედო ვალეების ამოღებაში? მოგვმართეთ ჩვენ და ჩვენ დაგეხმარებით მის ამოღებაში“ არ ირღვევა აპეკ-ის საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი მე-8¹ მუხლი. აღნიშნული სარეკლამო ტექსტი არ არის შეცდომაში შემყვანი, არ არღვევს პროფესიის ძირეულ ფასეულობებს, და არ ხდება მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e5b8b7cd7.pdf/18%20September%202015%20016.15.pdf>